



## საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება: ინტერნეტი, როგორც საქართველოს მოქალაქეთა გაძლიერების საშუალება

### ისტორია

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 38 ქვეყანამ და 15 საერთაშორისო ინსტიტუტმა საქართველოს დახმარების სახით დაახლოებით 4,55 მლრდ. აშშ დოლარი აღუთქვა, რაც საქართველოს თითოეულ მაცხოვრებელზე დაახლოებით 1000 აშშ დოლარს უდრის. დახმარების 95% 12 დონორზე მოდის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიზანია, უზრუნველყოს დახმარების პროცესის გამჭვირვალობა და თავად დონორების ანგარიშვალდებულება, რათა საქართველოს მოქალაქეებმა მართლაც ისარგებლონ გამოყოფილი დახმარებით.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ დონორები, რომლებიც საქართველოსთვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციას ინტერნეტში განათავსებენ, ძალზედ სასარგებლო ინსტრუმენტს აძლევენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს და თვით მთავრობის წარმომადგენლებსაც კი, რადგანაც მათ საშუალება ეძლევათ, რომ გაავრცელონ ეს ინფორმაცია და აუხსნან საზოგადოებას, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს დონორების მიერ გამოყოფილმა თანხებმა დახმარების მიმღებთა ცხოვრება.

დონორი	თანხა (მლნ. აშშ დოლარი)
აშშ	1,000
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	927
ევროკომისია	630
მსოფლიო ბანკი	530
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	350
ევროპის საინტეგრაციო ბანკი	329
აზიის განვითარების ბანკი	300
იაპონია	200
შვედეთი	53
გერმანია	44
ნორვეგია	40
უკრაინა	24
შვეიცარია	19

ჩვენს ანგარიშში განხილულია იმ 13 უმსხვილესი დონორის ინტერნეტ-საიტები, რომლებმაც 2008 წლის ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის დახმარების გაწევის პირობა დადეს. ეს დონორები არიან აშშ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროკომისია, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის საინტეგრაციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, იაპონია, შვედეთი, გერმანია, ნორვეგია, უკრაინა და შვეიცარია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ინფორმაცია ინტერნეტში ძიების, აგრეთვე დონორების მიერ ელექტრონული ფოსტით მოწოდებული ინტერნეტ-მისამართების საშუალებით მოიპოვავს. ერთიანი კრიტერიუმების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვედარებინა, თუ როგორ



აწვდიან სხვადასხვა დონორები საზოგადოებას ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით. კრიტერიუმები და მონაცემები ანგარიშის პირველ და მეორე დანართებშია მოყვანილი. ჩვენი ანგარიში ინტერნეტ-საიტებს დღეისათვის არსებულ საუკეთესო ნიმუშებთან შედარების გზით აფასებს და არა აბსოლუტური სტანდარტების მიხედვით.

## დონორების რეიტინგი

ქვეყნების ჩამოთვლა ჯამური ქულების მიხედვით ნაკლებად ეფექტიანი მეთოდია, ვიდრე თითოეული მათგანის კონკრეტული დადებითი და უარყოფითი მხარეების საზგასმა, მაგრამ ეს მეთოდი მაინც გვაძლევს დონორების ინტერნეტ-საიტების ერთმანეთთან შედარების საშუალებას. ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ დაახლოებით თანაბარი ქულები შეიძლება არ ასახავდეს რეალურ რეიტინგს, რადგანაც თითოეული კრიტერიუმის ფარდობითი მნიშვნელობის დადგენა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. თუმცა, საერთო რეიტინგის თავი და ბოლო უფრო ზუსტად ასახავს დონორების ინტერნეტ-საიტებზე მოცემულ ინფორმაციას. მაგალითისთვის, შესაძლებელია 75 ქულიდან ყველაზე მეტი აშშ-მა (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ) მიიღო, ხოლო ყველაზე ცოტა – იაპონიამ (საგარეო საქმეთა სამინისტრო). ამ შემთხვევაში, ქულები ადეკვატურად ასახავს იმას, თუ რამდენად სასარგებლოა ეს ორი ინტერნეტ-საიტი საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც საქართველოში დონორების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება სურთ. განსხვავებულ სურათს ვინილავთ, თუკი უკრაინას და ნორვეგიას შევადარებთ. უკრაინული საიტი გარკვეულ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ მისი უხეცოვნოვანი გამყოფილება გამართულად არ მუშაობს, ხოლო პროექტების ჩამონათვალი მოძველებულია (არ შეიცავს ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ უკრაინის მთავრობის მიერ გამოყოფილ საბიუჯეტო დახმარებას). ნორვეგიული ვებ-გვერდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას გვთავაზობს მიმდინარე პროექტების შესახებ, მაგრამ ამ ინფორმაციის ქართული თარგმანი ვებ-გვერდზე განთავსებული არ არის, რაც ქართველების უმრავლესობისთვის დაბრკოლებაა. საბოლოო ჯამში, თუ კრიტერიუმების ფარდობით მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, ნორვეგიული ვებ-გვერდი უკრაინულზე უკეთესია, თუმცა რეიტინგში მათ დაახლოებით თანაბარი ქულები აქვთ.

დონორი	რეიტინგი
აშშ	65
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	63
ევროკომისია	60
მსოფლიო ბანკი	56
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	50
ევროპის საინტეგრაციო ბანკი	48
აზიის განვითარების ბანკი	45
იაპონია	42
შვედეთი	41
გერმანია	32
ნორვეგია	28
უკრაინა	20
შვეიცარია	10

## ინტერნეტ-საიტები საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების შესახებ



დონორთა ინტერნეტ-საიტების შინაარსი გარკვეულწილად არის ნაზავი იმისა, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს საზოგადოებას, რა არის ადეკვატური ინფორმაცია თავად დონორების აზრით და რისი მიწოდება არის შესაძლებელი ლოგისტიკური შეზღუდვების გათვალისწინებით.

### ძიების საწყისი წერტილი

რადგანაც ინტერნეტ-საიტებზე ინფორმაციის განთავსება ცალკეული დონორი ქვეყნებისა თუ ინსტიტუტების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ძიების საწყისი წერტილის შერჩევა ზოგჯერ ძნელია. ხშირ შემთხვევაში, საძიებო სისტემების (Google, Yahoo, MSN) მეშვეობით დონორების შესახებ ინფორმაციის ძებნას სასურველი შედეგი მოაქვს. თუმცა, შედეგები ყოველთვის მკაფიო არ არის და საჭირო ინტერნეტ-საიტზე მხოლოდ მრავალი ცდისა და მოპოვებული ინფორმაციის გაფილტრვის შემდეგ თუ აღმოჩნდება. ამრიგად, თქვენ უნდა ფლობდეთ გარკვეულ ცოდნას ინტერნეტის შესახებ, აგრეთვე უნდა შეგეძლოს ინგლისურენოვანი ინფორმაციის დამუშავება. როგორც ჩანს, ყველაზე იოლი მეთოდი არის უშუალოდ დონორი სააგენტოების ან საგარეო საქმეთა სამინისტროების პოვნა და შემდგომი ინფორმაციის მათი ინტერნეტ-საიტების საშუალებით მოძიება.

### ინფორმაცია კონკრეტული ქვეყნის შესახებ

ჩვენს ანგარიშში ნახსენები 13 დონორიდან მხოლოდ ნორვეგიას და ევროპის საინვესტიციო ბანკს არ აქვთ კონკრეტულად საქართველოსთვის დათმობილი ვებ-გვერდები. თავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დონორები ზოგადად საჭიროდ მიიჩნევენ ცენტრალური პორტალის არსებობას, რომელიც დაინტერესებულ სუბიექტებს საქართველოს კონტექსტში მათი მისიის, მიზნისა და საქმიანობის უკეთ გაცნობის საშუალებას მისცემს. თუმცა, აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ორ გარემოებას: 1) საქართველოსთვის დათმობილ ვებ-გვერდზე წარმოდგენილი სასარგებლო ინფორმაციის მოცულობა შეიძლება მცირე ან სულაც ნულოვანი იყოს; 2) საქართველოსთვის დათმობილი ვებ-გვერდის არარსებობა არ გულისხმობს, რომ დონორის ინტერნეტ-საიტი არ გვთავაზობს ინფორმაციას საქართველოში განხორციელებული პროექტების შესახებ.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ვებ-გვერდი, რომელიც საქართველოს ეძღვნება, მაგრამ ამ გვერდზე მხოლოდ რამოდენიმე პრეს-რელიზია განთავსებული და არ არის თითქმის არავითარი სასარგებლო ინფორმაცია საქართველოში წარსულში განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების თაობაზე. საქართველოში უკრაინის საელჩოს ასევე აქვს ვებ-გვერდი, მაგრამ ის ძალზედ ცუდად მუშაობს, ხოლო განთავსებული ინფორმაცია მოძველებულია. ამისგან განსხვავებით, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არ აქვს კონკრეტულად საქართველოსთვის მიძღვნილი ვებ-გვერდი, მაგრამ აქვს გვერდი, რომელიც დსთ-ს წევრ ყველა სახელმწიფოს ეთმობა და ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეიცავს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ერთ ადგილზე თავმოყრა ძალზედ მნიშვნელოვანია მთლიანად პროცესისთვის. ქვეყნები და ინსტიტუტები საქართველოს დახმარებას მრავალი განსხვავებული ფორმით უწევენ. როგორც წესი, ისინი ერთდროულად მრავალ პროექტს ახორციელებენ. ამის გათვალისწინებით, გამართლებულია ყოვლისმომცველი ვებ-გვერდის არსებობა, რომელიც მთლიანად საქართველოში მათ მიერ გაწეულ საქმიანობას დაეთმობა.

### მონაცემთა ცენტრალიზებული განთავსება



ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც დონორი სახელმწიფოები (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან განსხვავებით) აწყდებიან, ის არის, რომ მათი დახმარება საქართველოში მრავალი სააგენტოს მეშვეობით შემოდის. როგორც ისტერილი და პფაზი აღნიშნავენ 2008 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სად მიდის ფული? საგარეო დახმარების საუკეთესო და ყველაზე ცუდი პრაქტიკა“, <sup>1</sup> დონორ ქვეყანაში სააგენტოებისა და დეპარტამენტების სიმრავლე წარმოშობს აუცილებლობას, რომ დახმარების კოორდინირებას ერთი დონორი სააგენტო ახორციელებდეს. მაგალითისთვის, აშშ დახმარებას 50 სხვადასხვა სააგენტოს მეშვეობით ანაწილებს, <sup>2</sup> რომელთა შორისაა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საგანგებო სიტუაციებში აშშ საგარეო დახმარების ოფისი (OFDA), აშშ უცხოეთში კერძო ინვესტირების კორპორაცია (OPIC), ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC) და თავდაცვის დეპარტამენტი.

საქართველოსთვის მიძღვნილ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულია აშშ-ს სხვა სააგენტოების ბმულები. შედეგად, ეს ვებ-გვერდი არის აშშ მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი მთელი დახმარების შესახებ ინფორმაციის პორტალი. <sup>3</sup>

გერმანია დახმარებას საგარეო უწყების, ტექნიკური თანამშრომლობის გერმანული სააგენტოსა (GTZ) და ბანკ KfW-ის მეშვეობით ანაწილებს. ამ უწყებებს თავიანთი ვებ-გვერდები აქვთ, მაგრამ არ არსებობს რაიმე ცენტრალური წერტილი, სადაც დაინტერესებული სუბიექტები სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი დახმარებისთვის თვალყურის დევნებას შეძლებდნენ. შედეგად, ინფორმაციის მოძიება საკმაოდ რთულია და საბოლოოდ მძებნელმა ისიც კი არ იცის დაზუსტებით, არსებობს თუ არა რაიმე სხვა სააგენტო, რომელიც ასევე ახორციელებს დახმარებას.

ზოგადად, თითოეული დონორი უნდა ეცადოს, რომ საზოგადოებას ცენტრალიზებული პორტალი შესთავაზოს, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია დონორის მისიის, მიზნებისა და პროექტების თაობაზე.

### მონაცემები კონკრეტული პროექტების შესახებ

რეალურად უფრო მნიშვნელოვანია დონორების ინტერნეტ-საიტებზე განთავსებული ინფორმაცია კონკრეტული პროექტების შესახებ. ასეთი სახის ინფორმაციას ყველა დონორი არ გვთავაზობს. ამასთანავე, იმ დონორებს შორის, რომლებსაც პროექტების შესახებ ინფორმაცია საკუთარ ინტერნეტ-საიტებზე აქვთ განთავსებული, ეს ინფორმაცია ეფექტიანად წარმოდგენილი ყველას როდი აქვს.

პროექტების შესახებ ყველაზე მცირე ინფორმაციას იაპონია და უკრაინა გვთავაზობენ. რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, თითოეულ მათგანს ინტერნეტში პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს განთავსებული. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვთავაზობს, მაგრამ ეს ინფორმაცია არაერთგვაროვანია და უფრო ზოგადი ხასიათისაა.

<sup>1</sup> Easterly and Pftuz. “Where Does the Money Go? Best and Worst Practices in Foreign Aid.” Journal of Economic Perspectives 22.2 (2008): 000-000

<sup>2</sup> *Ibid.*

<sup>3</sup> იხილეთ: <http://georgia.usaid.gov/index.php?m=57>.



თითოეული დონორის ინტერნეტ-საიტი არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნისადმი მიძღვილ გვერდს უნდა შეიცავდეს, არამედ ამ ქვეყანაში განხორციელებული კონკრეტული პროექტებისადმი მიძღვნილ გვერდებსაც, სადაც ხსენებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია ერთგვაროვნად იქნება წარმოდგენილი.

ნარატივის ფორმატში წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალებს პროზით ცვლის. ასეთი მიდგომა ართულებს მიზნების, დახმარების მოცულობისა და სახეობების, პროექტებში მონაწილე პარტნიორების, პროექტების განხორციელების ვადების და დადგენილი პირობების (თუ ასეთები არსებობს) ერთმანეთთან შედარებას. დაინტერესებულ სუბიექტებს იოლად უნდა შეეძლოთ თითოეული პროექტის საკვანძო კომპონენტების მოძიება. სხვა შემთხვევაში, ეს ინფორმაცია შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ან სულაც გამოტოვებულ იქნეს.

ზოგიერთ ინტერნეტ-საიტზე წარმოდგენილი ინფორმაცია მოძველებულია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკუთარ საიტზე დონორების სია განათავსა,<sup>4</sup> რომელიც საქართველოსთვის სხვადასხვა ქვეყნისა და ინსტიტუტის მიერ გამოყოფილ დახმარებას მოიცავს და შესაძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ, არის თუ არა იგივე ინფორმაცია წარმოდგენილი თავად დონორების საიტებზე. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია დონორების ინტერნეტ-საიტებზე განთავსებული არ არის. საქართველოში უკრაინის საელჩოს ვებ-გვერდზე არ არის ნახსენები 24 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის საბიუჯეტო დახმარება, ხოლო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერნეტ-საიტზე არაფერია ნათქვამი დაპირებულ 200 მლნ. აშშ დოლარზე, აგრეთვე იმ 8 მლნ. აშშ დოლარზე, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინტერნეტ-საიტზეა ნახსენები.

ასეთი სახის ინფორმაცია ზოგჯერ ძალიან სწრაფად ძველდება. ზოგიერთი დონორის თქმით, მათ არ შეუძლიათ განათავსონ ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებიც განხორციელების საწყის სტადიაშია ან ჯერაც არ დამტკიცებულა. ამის საპასუხოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია პროექტის მიმდინარე მგდომარეობის შესახებ და შემდგომში შეძლებისდაგვარად განაახლონ ის. გამოყოფილი დახმარებიდან დაახლოებით 1 მლრდ. აშშ დოლარი გამიზნულია ინფრასტრუქტურის პროექტებზე, რაც გზების მშენებლობას, რეგიონებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას და სხვა პროექტებს მოიცავს. ეს პროექტები, როგორც წესი, ქართული მედიის ყურადღების მიღმა რჩება, თუმცა ზოგადად მოსახლეობისთვის ისინი საინტერესოა. ხშირად ისმის შეკითხვა, თუ რას გულისხმობს ეს პროექტები და როდის დამთავრდება მათი განხორციელება. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დონორები შესაბამის ინფორმაციას საკუთარ ინტერნეტ-საიტებზე განათავსებენ. თუ საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ ინფორმაცია ამ პროექტების ხანგრძლივობისა და მათი დასრულების თარიღის შესახებ, მათ ეცოდინებათ, თუ რას უნდა ელოდონ და იმასაც შეძლებენ, რომ დონორებს დანაპირების შესრულება მოსთხოვონ.

### თარგმანში დაკარგული

ადგილობრივ ენაზე თარგმნილი წყაროების ნაკლებობა დონორთა საქმიანობის გამჭვირვალობის მხრივ არსებული ყველაზე დიდი პრობლემაა, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროკომისიას, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას და უკრაინას საკუთარ ინტერნეტ-საიტებზე ქართულენოვანი ინფორმაცია აქვთ

<sup>4</sup> იხილეთ: [http://www.mof.ge/default.aspx?sec\\_id=3211&lang=1](http://www.mof.ge/default.aspx?sec_id=3211&lang=1).



განთავსებული. ეს ინფორმაცია ხშირად არასრულია, მაგალითად უკრაინის შემთხვევაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაცია შერჩევითად არის განთავსებული და ქართულ ენაზე მოყვანილი მონაცემები კონტექსტიდან არის ამოვარდნილი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ქართულ ენაზე ზოგად ინფორმაციას გვთავაზობს, ხოლო პროექტების სია მხოლოდ ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი. ევროკომისიის ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზეა წარმოდგენილი, მაგრამ პროექტების სია მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი.

მართალია ზოგიერთი დონორი, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ფიქრობს, რომ რუსულენოვანი ვებ-გვერდი ქართულენოვანის მაგივრობას გაწევს, მაგრამ ასეთი ვებ-გვერდი ვერ უზრუნველყოფს დონორების მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქართულენოვანი მოსახლეობისთვის. მთლიანობაში, დონორების უმრავლესობას არ აქვს ინტერნეტში ინფორმაცია განთავსებული ისეთი სახით, რომ საქართველოს მოქალაქეებს და ქართველ ჟურნალისტებს მისი ეფექტიანად გამოყენება შეეძლოს.

ადგილობრივი ჟურნალისტების უმრავლესობა ქართულად საუბრობს, თუმცა ზოგიერთმა ინგლისური ენაც იცის. ქართულ მედიაში მომუშავე არაერთი ადამიანის თქმით, ქართველი ჟურნალისტების უმეტესობამ მხოლოდ ქართული ენა იცის და ინფორმაციასაც ქართულენოვან მედიაში ეძებს. ეს პრობლემებს ქმნის, რადგანაც დონორების დიდ ნაწილს საქართველოსთვის მიძღვნილი ვებ-გვერდის ქართული ვერსია არ აქვს.

იმავე ადამიანების თქმით, ქართველი ჟურნალისტები ვერ ბედავენ მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციებში დარეკვას, რადგანაც ფიქრობენ, რომ ამ ორგანიზაციების თანამშრომლები მხოლოდ ინგლისურად საუბრობენ. ასეთივე აზრის არიან ისინი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოზე“ კი. ადგილობრივმა ჟურნალისტებმა უნდა დაძლიონ მათ მიერვე შექმნილი ბარიერები, რათა უკეთ შეისწავლონ საქართველოს მიერ საგარეო დახმარების მიღების პროცესი და ეს ცოდნა საზოგადოებასაც გაუზიარონ. დონორების ინტერნეტ-საიტებზე მეტი ქართულენოვანი ინფორმაციის განთავსება მათ საქმეს გაუიოლებს.

### ვისთან შეიძლება დარეკვა?

ბევრი დონორი არა მხოლოდ პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებას გამოყოფს, არამედ საქართველოში საკუთარ პროექტებს ახორციელებს ან მათ განხორციელებას ადგილობრივ სუბიექტებს ანდობს. საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ეს პროექტები უშუალოდ ეხება, არ ფლობენ ინფორმაციას (ან ხელი არ მიუწვდებათ ინფორმაციაზე) იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ესა თუ ის დონორი ქვეყანა, ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან კონტრაქტორი კომპანია მათ ქვეყანასა თუ სოფელში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის შედეგები უარყოფითი აღმოჩნდა (მაგალითად, თუ პროექტმა ზიანი მიაყენა მოსახლეობას ან გარემოს) ან პროექტის მიზნების მისაღწევად განხორციელებული სამუშაო უბრალოდ არაეფექტიანია, დონორებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს, რომელთა ცხოვრებაზეც ამა თუ იმ პროექტის განხორციელება პირდაპირ აისახება, ამ ინფორმაციის დონორებისთვის მიწოდება შეეძლებათ. ამას გარდა, კონკრეტული პროექტის ზოგიერთ მომხმარებელს ან ადამიანს, რომლის ცხოვრებაზეც ეს პროექტი ახდენს გავლენას, შეიძლება უბრალოდ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება სურდეს. ამიტომაც უნდა არსებობდეს დონორებთან კავშირის მექანიზმი. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, თუ შევთანხმდებით, რომ დონორები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ.



2005 წელს პარიზში დონორთა შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს „პარიზის დეკლარაციას დახმარების ეფექტიანობის შესახებ.“<sup>5</sup> ეს დოკუმენტი ადასტურებს დონორთა „გადაწყვეტილებას, განვახორციელოთ შორს მიმავალი ქმედებები ჩვენს მიერ დახმარების მიწოდებისა და მართვის მეთოდების რეფორმირების მიზნით. ეს ქმედებები უნდა ექვემდებარებოდეს მონიტორინგს“.<sup>6</sup> ერთ-ერთი კონკრეტული მიზანი, რომელიც ამ ანგარიშს უკავშირდება, შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „პარტნიორი ქვეყნებისა და დონორების მოქალაქეებისადმი და პარლამენტებისადმი ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიების წარმატებულობის კონტექსტში.“<sup>7</sup> დეკლარაციას ხელი მოაწერა ყველა დონორმა, რომელთა საქმიანობა ამ ანგარიშის ფარგლებში განიხილება, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და უკრაინის გარდა. მიუხედავად ხელმოწერისა დიდი რიცხვისა, ცოტას თუ ჰყავს საქართველოში საკონტაქტო პირები, რომლებთან დაკავშირება იოლი იქნებოდა. ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკომისიას, მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, გერმანიას და შვეიცარიას ადგილობრივი ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები აქვთ. ელექტრონული ფოსტა კარგი საშუალებაა, მაგრამ ტელეფონის ნომრები აუცილებელია, რათა საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისთვის კომუნიკაციის ეს მექანიზმი ხელმისაწვდომი იყოს. თუ საქართველოს მაცხოვრებლებს ინფორმაციისა და დახმარების მიღების მექანიზმი არ ექნებათ, პროექტების ბენეფიციარები პროცესში მხოლოდ პასიური მიმღებების როლს თუ შეასრულებენ.

### რა შეგვიძლია მოვთხოვოთ დონორებს?

პროექტების განხორციელებით დაკავებულ სუბიექტებთან ხელშეკრულებებში დონორები და ორგანიზაციები მკაფიოდ განსაზღვრავენ საკუთარ მიზნებსა და მეთოდებს, აგრეთვე პარტნიორების ვინაობას. როგორც წესი, ამ შეთანხმებებში მითითებულია, თუ ვისთან აპირებენ ისინი თანამშრომლობას, რა ოდენობის დახმარებას გამოყოფენ და რა ტიპის იქნება ეს დახმარება (ფული, მომსახურება ან საქონელი). ასევე განსაზღვრულია ორივე მხარის პროცედურული მოლოდინი და ის, მოუწევს თუ არა დახმარების მიმღებს რაიმე პირობების დაკმაყოფილება. დადგენილია ის მეთოდებიც, რომელთა საშუალებით დონორები ამ პროცედურებისა და პირობების შესრულების უზრუნველყოფას აპირებენ. რას გულისხმობს ეს დახმარების საბოლოო მიმღებისათვის? ასეთი ხელშეკრულებების საჯაროდ გამოცხადებით, დონორები საქართველოს მოქალაქეებს დონორებისა და მათი პარტნიორების მიერ დახმარების ეფექტიანად და მართებულად გამოყენების შემოწმების შესაძლებლობას აძლევენ. გარდა ამისა, ასეთ ხელშეკრულებებზე დაკვირვებით, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, გააუმჯობესებს თუ არა კონკრეტული პროექტები მათ ცხოვრებას.

აზიის განვითარების ბანკის ინტერნეტ-საიტზე განთავსებულია მისი პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ აგრეთვე განათავსა საკუთარ საიტზე ხელშეკრულება საქართველოს ბიუჯეტში 250 მლნ. დოლარის პირდაპირი გადარიცხვის შესახებ. ამავე დროს, ინტერნეტში განთავსებული არ არის ხელშეკრულებები აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და პროექტების განხორციელებით დაკავებულ პარტნიორებს შორის, რომლებიც საქართველოს მთავრობის ნაწილი არ არიან. სხვა დონორების შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია უბრალოდ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესაბამისად ინფორმაციის

<sup>5</sup> იხილეთ: „პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტიანობის შესახებ.“

<sup>6</sup> Ibid.

<sup>7</sup> Ibid.



გამოთხოვნის მეშვეობით შესაძლებელია იმ ორმხრივი ხელშეკრულებების გაცნობა, რომლებიც საიდუმლოდ არ ითვლება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ საკითხში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ თანამშრომლობდა, მაგრამ ასეთივე გამჭვირვალობა დონორებსაც მოეთხოვება - ისინი არ უნდა ელოდონ, რომ საქართველოს მთავრობა ამას მათ მაგივრად გააკეთებს. დონორები არსებულ ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლიან, თუ თავიანთ ხელშეკრულებებს ინტერნეტში განათავსებენ. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებას საქართველოში შემოსულ დახმარებაზე მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა მიეცემა, ხოლო მოქალაქეებს ეცოდინებათ, გამოიყენება თუ არა ეს დახმარება მართებულად და ეფექტიანად.

## დასკვნა

ინტერნეტ-საიტები არის ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც დონორებს ინფორმაციის გავრცელება შეუძლიათ. დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება სურთ, დონორები ხშირად ურჩევენ, რომ მათი ინტერნეტ-საიტები იხილონ. თუ არ ჩავთვლით ინფორმაციის თავისუფლების აქტის საფუძველზე განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას, ინტერნეტ-საიტი ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის ერთადერთი წყაროა.<sup>8</sup> ზოგიერთი დონორი ტელეფონის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემოსულ თხოვნებს მთელი იმ ინფორმაციის მიწოდებით პასუხობს, რომელიც დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა. სხვები საერთოდ არ პასუხობენ ასეთ თხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსადმი მიძღვნილი დონორთა ვებ-გვერდები ინფორმაციის ერთადერთი წყარო არ არის, ასეთი გვერდები კარგი საწყისი წერტილია იმის გასაგებად, თუ რა არის დონორების მისია საქართველოში, რას საქმიანობენ ისინი და როგორ ცდილობენ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციაა, რომ ყველა დონორის ინტერნეტ-საიტი შეიცავდეს შემდეგს:

- გვერდი საქართველოს შესახებ ქართულენოვანი ვერსიით;
- განმარტება იმისა, თუ ზოგადად რის მიღწევას ცდილობს დონორი საქართველოში თავისი საქმიანობის მეშვეობით;
- პროექტებისა და დონორის მიერ ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილია ერთიან ფორმატში, არ არის მოძველებული და მოიცავდეს:
  - პროექტის აღწერას;
  - მის განხორციელებაში მონაწილე პარტნიორებს;
  - დახმარების ოდენობას და ტიპს;
  - პროექტის ხანგრძლივობას;
  - პროექტთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს და პირობებს;
  - პროექტის განხორციელების ანგარიშებსა და ფინანსურ ანგარიშებს, რომლებიც წარმოდგენილია იმ უწყებების მიერ, რომლებიც თანხების ხარჯვითა და პროექტის განხორციელებით არიან დაკავებული;
  - დონორთა საკუთარ აუდიტორულ და შეფასებით ანგარიშებს; და
- ადგილობრივ საჯარო ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს კომენტარების და კრიტიკული შენიშვნების წარსადგენად.

თუ დონორები საკუთარ ინტერნეტ-საიტებს ამ კრიტერიუმების შესაბამისად შეცვლიან, ისინი გამჭვირვალობასთან და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შეასრულებენ.

<sup>8</sup> აშშ უცხოეთში კერძო ინვესტირების კორპორაციის (OPIC) ინტერნეტ-საიტის თანახმად, იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ამ საიტზე განთავსებული არ არის, შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების აქტის საფუძველზე წარდგენილი განაცხადით.





იმისათვის, რომ ავტომატურად მიიღოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შემდგომი ანგარიშები, გთხოვთ, შეუერთდეთ ჩვენი ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის სიას. ამისათვის, გამოაგზავნეთ მოკლე შეტყობინება შემდეგ მისამართზე:  
[info@transparency.ge](mailto:info@transparency.ge)

ეს კვლევა მომზადდა პროექტის „საქართველოში საერთაშორისო დახმარების ეფექტურობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ გამოყოფილი 58 000 დოლარის ორდენობის გრანტით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მადლობას უხდის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“ საერთაშორისო დახმარების მონიტორინგის მხარდაჭერისა და საკითხისადმი გამოვლენილი ინტერესისთვის.





## დანართი I

დონორთა ინტერნეტ-საიტების გამჭვირვალობა - კრიტერიუმები (ქულების მაქსიმალური რაოდენობა - 75)

1. აქვს თუ არა დონორს კონკრეტული ქვეყნისთვის მიძღვნილი გვერდი? (10 ქულა)
  2. არის თუ არა ვებ-გვერდზე ზოგადი მიმოხილვა, მისიის შესახებ ინფორმაცია და ხშირად დასმული შეკითხვების სექცია? (5 ქულა)
  3. მითითებულია თუ არა ვებ-გვერდზე ადგილობრივი საკონტაქტო პირი/წარმომადგენლობა, რომელიც კომენტარებს და საჩივრებს იღებს?
    - ტელეფონის ნომერი? (5 ქულა)
    - ელექტრონული ფოსტის მისამართი? (5 ქულა)
  4. არსებობს თუ არა ვებ-გვერდის ვერსია ადგილობრივ ენაზე (ქართულად)? (10 ქულა)
  5. განთავსებულია თუ არა ვებ-გვერდზე ინფორმაცია დონორის მიერ ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შესახებ? (10 ქულა)
  6. ვებ-გვერდზე განთავსებულია პროექტების სია თუ ეს ინფორმაცია მოცემულია ტექსტის სახით? (5 ქულა)
  7. არის თუ არა პროექტების სია განახლებული? (10 ქულა)
- მითითებულია თუ არა პროექტების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია:
8. მოცემულია თუ არა პროექტების აღწერა? (2 ქულა)
  9. მითითებულია თუ არა დახმარების მიმღები უწყება, ორგანიზაცია ან კომპანია? (2 ქულა)
  10. მითითებულია თუ არა დონორის მიერ გაცემული დახმარების ოდენობა? (2 ქულა)
  11. მითითებულია თუ არა დახმარების ტიპი? (2 ქულა)
  12. მითითებულია თუ არა პროექტის ხანგრძლივობა? (2 ქულა)
  13. ხელმისაწვდომია თუ არა ხელშეკრულება და ჩამოთვლილია თუ არა ზედამხედველობის მექანიზმები? (5 ქულა)



## დანართი II

### დონორთა ინტერნეტ-საიტების გამჭვირვალობა - მონაცემები

დონორი	# 1	# 2	# 3	# 4	# 5	# 6	# 7	# 8	# 9	# 10	# 11	# 12	# 13	სულ
აშშ	10	5	10	10	10	0	10	2	2	1	1	1	2,5	64,5
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	10	5	10	10	10	5	5	2	2	2	2	0	0	63
მსოფლიო ბანკი	10	5	10	0	10	5	10	2	2	2	2	2	0	60
ევროკომისია	10	5		10	10	5	5	2	2	2	0	2	2,5	55,5
შვეიცარია	10	5	10	0	10	0	5	2	2	2	2	2	0	50
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	10	5	5	0	10	5	5	2	2	2	2	0	0	48
აზიის განვითარების ბანკი	10	5	0	0	10	5		2	2	2	2	2	5	45
შვედეთი (Sida)	10	5	0	0	10	5	2	2	2	2	2	2	0	42
გერმანია (GTZ)	10	5	10	0	10	0	0	2	2	0	0	2	0	41
ევროპის საინვესტიციო ბანკი	0	5	0	0	10	5	4	2	2	2	2	0	0	32
ნორვეგია	0	0	0	0	10	5	5	2	2	2	2	0	0	28
უკრაინა	10	5	0	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	20
იაპონია	10	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	10



სასარგებლო ინფორმაცია ღონორების შესახებ

ღონორი	შეფასება	შეპირებული დახმარება (მლნ. აშშ დოლარი)	ინტერნეტ-საიტის მისამართი	ელექტრონული ფოსტის მისამართი	ტელეფონის ნომერი
აშშ	65	1 000	<a href="http://georgia.usaid.gov/">http://georgia.usaid.gov/</a>	mjaparidze@usaid.gov	54 40 00, პირდაპირი - 4168
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	63	350	<a href="http://www.ifc.org/ifcext/georgia.nsf/Content/Home_IFC_Georgia">http://www.ifc.org/ifcext/georgia.nsf/Content/Home_IFC_Georgia</a>	trazmadze@ifc.org	(995 32) 91 26 89
მსოფლიო ბანკი	60	530	<a href="http://www.worldbank.org.ge">http://www.worldbank.org.ge</a>	ipaichadze@worldbank.org	(995 32) 91 30 96 ან 91 26 89
ევროკომისია	56	637	<a href="http://www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html">http://www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html</a>	Delegation-Georgia@ec.europa.eu	(995 32) 94 37 63/94 37 69
შვეიცარია	50	19	<a href="http://www.swisscoop.ge/en/Home/Activities_in_Georgia">http://www.swisscoop.ge/en/Home/Activities_in_Georgia</a>	tbilisi@sdc.net	--
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	48	927	<a href="http://www.ebrd.com/country/country/georgia/index/htm">http://www.ebrd.com/country/country/georgia/index/htm</a>	--	(995 32) 44 74 00
აზიის განვითარების ბანკი	45	300	<a href="http://www.adb.org/Georgia/default.asp">http://www.adb.org/Georgia/default.asp</a>	--	--
შვედეთი (Sida)	42	53	<a href="http://www.sida.se/sida/jsp?d=1319&amp;a=21892&amp;language=en_US">http://www.sida.se/sida/jsp?d=1319&amp;a=21892&amp;language=en_US</a>	--	--
გერმანია (GTZ)	41	44	<a href="http://www.gtz.de/en/weltweit/europa-kaukasus-zentralasien/653.htm">http://www.gtz.de/en/weltweit/europa-kaukasus-zentralasien/653.htm</a> <a href="http://www.auswaertiges-amt.de/diplo/en/Laenderinformationen/01-Laender/Georgien.html">http://www.auswaertiges-amt.de/diplo/en/Laenderinformationen/01-Laender/Georgien.html</a>	Gabriele.boehringer@gtz.de	(995 32) 20 18 00
ევროპის საინვესტიციო ბანკი	32	329	--	--	--
ნორვეგია	28	40	--	--	--
უკრაინა	20	24	<a href="http://www.mfa.gov.ua/georgia/en/news/top/htm">http://www.mfa.gov.ua/georgia/en/news/top/htm</a>	--	--
იაპონია	10	200	<a href="http://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/index.html">http://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/index.html</a>	--	--